

K 223728
3

საქართველოს
საბჭოთავო
კულტურის
მინისტრო

დანიელ შვიციანი



მორღეს გაეისტვალისვილი
ცხოვრება ჭ მოღუანყომა


დამიდ ბააჯომის სახელობის საქართველოს ეზრათა
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი



მოსე დანიელაშვილი

მორღეს მამისტვალიშვილი (მამისტვალოვი)

ცხოვრება და მოღვაწეობა



თბილისი
„მეცნიერება“
1996



63.3+63.5 (2r)
947.922+39
დ 19

1) ჩახიველი გზაჯღმ

2) საქართველოს გზაჯღმის ისტორიკ - ეთნოგრაფიკული მუზეუმის ყოფილი მეცნიერ თანამშრომლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურადამთავრებულის, ენათმეცნიერ მორდებ მამისთვალის (მამისთვალის) ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნოტარული მუშა

რედაქტორები: გურამ ბათიაშვილი
შალვა წიწუაშვილი

სკეპ-2000
შემოწმებულია

4700000000
M 607(06)-96

96

„მეცნიერება“, 1996

საქართველოს
უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა

ა ვ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

K 223.728

წინამდებარე ნაშრომი ავტორის — ინჟინერ-მშენებლის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, უფროსი მეცნიერ თანამშრომლისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედევობის ინსტიტუტის განყოფილების გამგის მოსე დანიელაშვილის — დიდი ხნის ჩანაფიქრის განხორციელებაა. იგი ეძღვნება მისი უფროსი მეგობრის, საქართველოს ებრაელობაში, ქართველ ფილოლოგთა და ენათმეცნიერთა გარკვეულ წრეში ცნობილი პიროვნების მორდებ მამისთვალის (მამისთვალის) ნათელ ხსოვნას. ნაშრომში გამოყენებული ფაქტიური მასალა და ფოტოები მოგვწოდა განსვენებული მორდების უმცროსმა ძმამ გერცელ მამისთვალის, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივისა და საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის თანამშრომლებმა (კერძოდ, ქალბატონმა თ. ჩხენკელმა) შეაძლებლობა მოგვცეს გაცნობილი მათთან დაცულ მასალებს მ. მამისთვალის შესახებ.

ჩვენი თხოვნით, ნაშრომის რეზიუმე ქართულიდან ებრაულ ენაზე თარგმნა პოეტმა და მთარგმნელმა ქალბატონმა ციფი მიხაელმა (უნდა აღინიშნოს, რომ რეზიუმეს ებრაული თარგმანის პირველი ვარიანტი შეასრულა ავტორის მეუღლემ, ექიმ-ნევროპათოლოგმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, ქალბატონმა ნათელა ფიჩხაძემ), ხოლო ინგლისურ ენაზე თარგმნა ქალბატონმა დიანა ჭანტურიამ. ებრაულ ენაზე წარმოდგენილი ტექსტის დასაბეჭდად მომზადებაში დახმარება გაავიწიეს ბატონმა მენახემ ელაზარმა და როზალი იანცემა (ჩაჩანაშვილმა).

ნაშრომს პირველი რედაქტირება ჩაუტარა და მისი შემოკლებული ვარიანტი საქართველოში ებრაულ გაზეთ „მენორაში“ (№ 10/26, ოქტომბერი, 1994 წ.) გამოაქვეყნა გაზეთის გამომცემელმა და რედაქტორმა მწერალმა გურამ ბათიაშვილმა. არსებული სახით ნაშ-

რომს რედაქცია ჩაუტარა დავიდ ბააზოვის სახელობის საქართველოს
ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა შალვა
წიწუაშვილმა. დედანს გაეცნენ და თავიანთი რედაქციული ხასი-
ათის შენიშვნები გამოთქვეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტო-
რებმა, პროფესორებმა იოსებ მეგრელიძემ და სამსონ ენუჭაშვილმა.
მათი შენიშვნები ავტორმა, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინა.

ნაშრომი მხატვრულად გააფორმა არქიტექტორმა შოთა ბოსტა-
ნაშვილმა.

საგამომცემლო ხარჯების ანაზღაურების საქმეში მუზეუმს მხარში
ამოუდგა შ. პ. ს. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სეისმომედე-
გობა“ (გენერალური დირექტორი გივი ხომერიკი).

ყველა ზემოხსენებულ პირს და ორგანიზაციის თანამშრომელს
უღრმეს მადლობას მოვახსენებთ გაწეული დახმარებისათვის.

ავტორი

საქართველოს ებრაელობის უფროს თაობაში, ქართველ ფილოლოგთა და ენათმეცნიერთა გარკვეულ წრეში ცნობილი მორდებ მამისთვალისშვილი (მამისთვალოვი) იმ მცირერიცხოვან, მაგრამ სახელოვან პიროვნებათა რიგს ეკუთვნის, უანგაროდ და თავდადებით რომ იღვწოდნენ საქართველოს ებრაელობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის — ცხოვრების, ყოფის, საქმიანობის, კულტურის შესაწავლად და წარმოსაჩენად, ქართულ ენათმეცნიერებაში საკუთარი სიტყვის სათქმელად.

საამისოდ მას ჰქონდა ფართო განათლება, ღრმა ცოდნა, მკვლევრის დიდი ნიჭი და აღღო, შეუვალთა, პატიოსნება, პრინციპულობა, შრომის უნარი, საქმისადმი თავდადება და სიყვარული. მძიმე და სირთულეებით სავსე იყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, ცხოვრება კი — დუხჭირი, მატერიალურ-ყოფითი თვალსაზრისით, მაგაჲაჲ წმინდა და ამაღლებული სულიერად. სინამდვილემ არ მისცა საშუალება ემუშავა მთელი შესაძლებლობებით, შემოქმედებითად, მიეღო ის, რაც მისი განათლების მქონე ნიჭიერ, ენების მცოდნე (ქართული და ქართველური ენები, ებრაული, რუსული, სომხური, გერმანული, ბერძნული), შრომისუნარიან და საქმისადმი თავდადებულ კაცს შეეძლო. მიუხედავად ამისა, მორდებ მამისთვალისშვილმა მაინც დატოვა ნათელი კვალი საქართველოს ებრაელობის ისტორიაში.

მორდებ მამისთვალისშვილმა შრომის უნარი, ნიჭი და ხასიათის თვისებები მემკვიდრეობით მიიღო. დაიბადა ქ. ბათუმში, 1911 წლის 18 ივნისს. მამა, აზნერ მეირის ძე, აღებმიცემობას ეწეოდა, წარმოშობით ცხინვალიდან, დაბადებული დაახლოებით 1888 წ. გარდაიცვა-

1 მე-20 საუკუნემდე საქართველოში ებრაელთა დაბადების აღრიცხვა პრაქტიკულად არ წარმოებდა, რის გამოც მათი დაბადების თარიღის ზუსტი დადგენა გართულებულია. ცხინვალის სინამდვილეში 1900 წლის შემდგომ პერიოდში ებრაელთა აღრიცხვა შემოიღო ლიტვიდან რელიგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის ცხინვალში ჩამოსულმა და დასახლებულმა რაბი აბრამ ხვოლესმა (1854—1931 წწ.) ისრაელში ამოსულმა ცხინვალის მადლიერმა მრევლმა ისრაელის ქ. ხულონის



ლა ქ. თბილისში 1942 წ. დედა, ესთერ იოსების ასული დიგვირელა (ქ. ბათუმშია დაბადებული დაახლოებით 1893 წ.), იყო დიასახლისი-გარდაიცვალა ქ. თბილისში 1961 წელს. მისი მშობლები წარმოშობით ახალციხის რაიონიდან, სავარაუდოა, სოფელ დიგვირიდან იყვნენ (ეს სოფელი დაბა აწყურის მიდამოებში მდებარეობდა). ჰყავდათ 6 შვილი, 4 ვაჟი და 2 ქალი. მორდები მეორე შვილი იყო. მ. მამისთვალისშვილის ოჯახი 1918—1920 წლებში ქ. თბილისში გადმოსახლდა. სახლი, რომელიც მამამ შეიძინა, ფეთხაინის უბანში მდებარეობს (ყოფილი აზიზ-ბეგოვის, ახლა ბეთლემის ქ. № 7), ამჟამად სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, რის გამოც, ამ სახლში მოსახლენი, მათ შორის მამისთვალისშვილების (მამისთვალოვების) შთამომავლები, აქ აღარ ცხოვრობენ.

აბნერი ქ. თბილისში აქტიურად ებმება ებრაელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში — დანიელ დანიელაშვილთან (დანიელოვთან), აბრამ დავარაშვილთან და სხვებთან ერთად მონაწილეობს თბილისში ჩამოსახლებულ ცხინვალელ ებრაელთა სალოცავის შენობის შექმნაში და მის მოწყობაში (შენობა ლესელიძის ქ. № 43-ში მდებარეობს — ლესელიძის და იერუსალიმის ქუჩების კუთხეში. ორსართულიანია, აგებულია მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში, დაახლოებით 1880-იან წლებში). აბნერი გარდაცვალებამდე ამ სალოცავის ხელმძღვანელი — „გაბაი“ — იყო. მის შემდეგ სალოცავს 1952 წლამდე (1951—1952 წლების ებრაელთა რეპრესიების პერიოდში სალოცავი ჩამოერთვათ) დიდი ძალისხმევით ხელმძღვანელობდა ებრაელთა შორის ცნობილი პირიგნება და საზოგადო მოღვაწე არონ ჯინჯიხაშვილი. აღსანიშნავია, რომ ამ სალოცავში გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა დიდი რაბი დავით ბაზოვი. მისი ოჯახი წლების განმავლობაში ამავე სალოცავის შენობის პირველ სართულზე ცხოვრობდა. სალოცავის გაფართოების და ებრაელ ბავშვთათვის თორასა და ებრაულ ენაში სამეცადინო ოთახების შექმნის მიზნით (ერთხანს აქ ამ მოღვაწეობას ხაზამ ისრაელ ბაბალიკაშვილი ეწეოდა), რაბი დავით ბაზოვის ოჯახი (საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნითაც) სხვა ბინაში გადაიყვანეს. არონ ჯინჯიხაშვილისავე ინიციატივით საქმაოდ კეთილმოეწყო სალოცავის შენობა და ეზო. ცხინვალელების სალოცავის ყოფილ შენობაში 1952

ქართველი ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონ კირიათ-შარეთში ქართველ ებრაელთა ერთ-ერთ ახალ სალოცავს (სინაგოგას) მისი სახელი უწოდა.



წლიდან დღემდე საცხოვრებელი ბინებია განთავსებული. დასაინანია, რომ ამ შენობას მემორიალური დაფა არ გააჩნია.

მორღებსა მთელი სიცოცხლე მამის მიერ შექმნილ სახლში (მძიმე საბინაო პირობებში) გაატარა. იყო უცოლმვილო. ცხოვრობდა ჯერ მშობლებთან ერთად მრავალრიცხოვან ოჯახში, შემდეგ — უმცროს ძმასთან. საძინებელი და სამუშაო კუთხე პატარა შუშაბანდში ჰქონდა, მისი ავლა-დიდება ხის ტახტი, საწერი მაგიდა, წიგნების კარადა, ფოტოაპარატი და წიგნები იყო. ფოტოაპარატი სამუშაო ინსტრუმენტი გახლდათ — იღებდა და ამზადებდა საარქივო მასალებიდან და ლიტერატურული წყაროებიდან მეცნიერული შრომებისათვის საჭირო მასალების ფოტოფირებს. ინტელიგენტისათვის დამახასიათებელი გარეგნობისა იყო — საშუალო სიმაღლის, სუსტი აღნაგობის, სათვალთ, უაღრესად მკაფიო, დახვეწილი, მიმზიდველი მეტყველებით, უყვარდა მუსიკა (დაჯილდოებული იყო სასიამოვნო ტემბრის ტენორით), მღეროდა თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებულ გუნდში, უყვარდა სპორტი — ცურვა. იყო უაღრესად კულტურული, თავშეკავებული და თავაზიანი, ნაცნობ-მეგობრების წრეში სარგებლობდა პატივისცემით და, თავისი მდგომარეობის გამო, გარკვეული თანაგრძნობით. გარდაიცვალა 1984 წლის 21 დეკემბერს, 73 წლის ასაკში, გზად, უეცრად, მშობლიური სახლის პირველ სართულზე, მეზობლის ბინაში, გულის ინფარქტით, დაიმედებული, რომ მისი ვრცელი სამეცნიერო ნაშრომის „მოდალურნაწილაკიანი მწკრივები ქართულში“ რეზიუმე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიაში გამოქვეყნდებოდა. დაკრძალულია უფროსი ძმის, იოსებ მამისთვალავის გვერდით თბილისის ვარკეთილის (დამპალოს) ებრაელთა სასაფლაოზე.

მორღეს მამისთვალავის ცხოვრება და მოღვაწეობა შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს:

— ბ ა ვ შ ვ ო ბ ა, სკოლასა და თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა (1918—1933 წწ.);

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ს ტ უ დ ე ნ ტ ი, ასპირანტი, პედაგოგი, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელი (1933—1951 წწ.);

— სამეცნიერო სამსახურს მოკლებული და ასეთი სამსახურის მაძიებელი მარტოხელა მეცნიერ-მკვლევარი. დამცირებული, სხვადასხვა სამსახურში არასპეციალობით მომუშავე, ებრაული ენიდან ერთ-

ჯერადი მთარგმნელობითი სამუშაოების შემსრულებელი, ბოლო პერიოდში კი, ისრაელის უქვსდლიანი ომის შემდეგ, 1967 წლიდან ახლობელთა წრეში ებრაული ენის მასწავლებელი (1952—1984 წწ.)

1918 წ. შვიდი წლის მოტკე — ასე ეძახდნენ მას ბავშვობაში და ეს სახელი ახლობლებში გარდაცვალებამდე შერჩა, მშობლებმა ებრაულ რელიგიურ სასწავლებელში (თალმუდ თორა) მიაბარეს. მალე ქთბილისში ახალციხელ ებრაელთა სალოცავთან (სინაგოგასთან) გაიხსნა ებრაული სამოქალაქო სასწავლებელი, სადაც აძლევდნენ შვიდი კლასის ცოდნას ებრაულ ენასა, ისტორიასა და ლიტერატურაში. აქ ყველა საგანი ებრაულ (დღეს გავრცელებული ტერმინით ივრითზე) ენაზე ისწავლებოდა. მოტკე გახსნისთანავე ამ სკოლაში სწავლობდა. აქ მის მასწავლებელთა შორის იყო ებრაულის კარგი მცოდნე ნათან ელიაშვილი (1893—1929 წწ.), რომელმაც ქართულ ენაზე ლექსად თარგმნა მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი შედეგრი, უკვდავი ბიბლიური პოემა-პასტორალი სოლომონ მეფის „გალობათა გალობა“ და სხვა ნაწარმოებები. მორღებმა მისგან ებრაული ენის საფუძვლიანი ცოდნა მიიღო. 1924 წელს ეს სასწავლებელი გამოეყო სალოცავს და ამ სკოლის მოსწავლეები ებრაელთათვის გახსნილ 102-ე შრომის სკოლაში გადაიყვანეს. ამ სკოლის შვიდწლედი მან დაამთავრა 1927 წელს და იმავე წელს მოეწყო თბილისის მე-8 შრომითი სკოლის მე-8 კლასში, მაგრამ შვიდი თვის სწავლის შემდეგ, მძიმე მატერიალური პირობების გამო, იძულებული შეიქნა სწავლა მიეტოვებინა. მიუხედავად ამისა, სწავლას მოწყურებული მოტკე დამოუკიდებლად მეცადინეობდა. 1928 წ. ბათუმში სახელმწიფო საექსტერნო კომისიაზე გავიდა და წარმატებით ჩააბარა გამოცდები სიმწიფის მოწმობაზე. იმავე წელს გაიარა ერთწლიანი საბუნჰალტრო-სამოანგარიშო კურსები, რომლის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა ჩხარში რაიკავშირის მონაგარად. აქ მან დაახლოებით ერთი წელიწადი იმსახურა. სწავლამოწყურებულ ახალგაზრდას ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდა და 1930 წლიდან სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. იმ განზრახვით, რომ სწავლა გაეგრძელებინა ქ. ლენინგრადის მ. გორკის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი მე-3 კურსიდან მიატოვა, მაგრამ ავად გახდა და ლენინგრადში სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხა. სტუდენტობის პერიოდში, 1930—33 წლებში, მორღები მსახურობს საქართველოს მშრომელ ებრაელთა კულტურის



სახლში ლიტერატურული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული სექციების ხელმძღვანელად და მონაწილეობს აღნიშნული დაწესებულების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. კულტურის სახლის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი იყო მ. მამისთვალი-შვილის სიყრმის მეგობარი, შემდგომში დამსახურებული ინჟინერ-რკინიგზელი, ცნობილი ბიბლიოფილი, მორდეს (მორის) დანიელოვი.

1933 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტთან (ღარიბკომი) აღნიშნული კულტურის სახლის ბაზაზე დაარსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. აქედან ცხადია, რომ კულტურის სახლის და, სახელდობრ, ლიტერატურისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული სექციის არსებობამ დიდი როლი შეასრულა მუზეუმის შექმნაში. მუზეუმის სათავეებთან იდგნენ არონ კრიხელი (დირექტორი დაარსებიდან 1948 წლამდე. დედაჩემის, თამარ ჯანაშვილი-დანიელაშვილის გადმოცემით, ისრაელის სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით 1948 წ. ისრაელში მოსალოცი დეპეშის გაგზავნის გამო სიონიზმის ბრალდებით რეპრესირებულ იქნა — მოხსნეს დირექტორობიდან, დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1954 წ. განთავისუფლებულ იქნა, დაბრუნდა საქართველოში, შემდეგ გაამართლეს კიდევ. თუმცა მუზეუმი აღარ არსებობდა, ის კვლავინდებურად განაგრძობდა ებრაულ თემატიკაზე მუშაობას. 1971 წ. ოჯახითურთ ავიდა ისრაელში, სადაც გარდაიცვალა 1974 წ. 30 მაისს), ილია პაპისმედოვი (დირექტორი 1948 წლიდან 1952 წლამდე — გაუქმებამდე, შემდგომში ავიდა ისრაელში, სადაც გამოაქვეყნა საინტერესო მონოგრაფია საქართველოს ებრაელების ყოფა-ცხოვრების შესახებ. გარდაიცვალა იქვე), დავით შაფთოშვილი, იოსებ ქურჩიშვილი (შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), მორდეს მამისთვალიშვილი, გერცელ ჩაჩაშვილი და სხვ. მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი და საგამოყენო საქმის სათანადო განვითარებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის თვალსაჩინო მოღვაწეებს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს, პროფესორებს: გ. ჩიტაიას, შ. ჩხეტიას, ს. იორდანიშვილს და სხვ.

მუზეუმის შექმნით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ებრაელთა ისტორიული წარსულის მეცნიერულ შესწავლას.

მუზეუმის დაარსების შემდეგ იწყება მორდეს მამისთვალიშვილის ცხოვრების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი. მისი დარსების წელსვე, სამეცნიერო კადრების მომზადების მიზნით, მუზეუმის მუშაკთათვის

გაიხსნა ორწლიანი კურსები (დ. შაფთოშვილი თავის ერთ-ერთ სტატი-
აში ამ კურსებს ასპირანტურას უწოდებს), სადაც ქართული მეცნი-
ერების თვალსაჩინო სპეციალისტები კითხულობდნენ ძველი აღმო-
სავლეთისა და ებრაელთა ისტორიას, ებრაული ენის გრამატიკას, ზო-
გად ეთნოგრაფიას, დიალექტიკურ მატერიალიზმს და სხვ. მორდენმა
ეს კურსები წარმატებით გაიარა, რის შემდეგაც, 1936 წლამდე, მსა-
ხურობდა მუზეუმში სწავლული მდივნის თანამდებობაზე. ვინც სა-
მეცნიერო დაწესებულების მუშაობას კარგად იცნობს, მისთვის ცნო-
ბილია, თუ რა სასარგებლო, და ამავე დროს მძიმე ტვირთი გადადის
სწავლული მდივნის მხრებზე, განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების
პროცესში.

ამ წლებში მ. მამისთვალიშვილი აქტიურად მონაწილეობს ლიტე-
რატურული და საარქივო მასალების, ისტორიული დოკუმენტების მო-
ძიებაში, შეგროვებასა და დამუშავებაში, მუზეუმისათვის სამეცნიე-
რო-კვლევითი და საექსპოზიციო ბაზის შექმნაში, ეთნოგრაფიულ-კომ-
პლექსურ ექსპედიციებში მოპოვებული მასალის კამერალურ დამუშა-
ვებაში (1933—1936 წლებში მუზეუმმა ჩაატარა ოთხი ეთნოგრაფი-
ულ-კომპლექსური ექსპედიცია საქართველოს ებრაელთა კომპაქტური
დასახლების პუნქტებში). ებრაელთა ღარიბკომის ხელმძღვანელობა-
თან უთანხმოების გამო, 1936 წელს მ. მამისთვალიშვილმა მუზეუმში
მუშაობა ფორმალურად, და არა საქმით, მიატოვა. აქ უკვე თავს იჩენს
მისი პინკიპულობა. 1936 წელს მ. მამისთვალიშვილი სწავლას აგრძე-
ლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ განყოფა-
ლებაზე, რომლის სრული კურსი ქართული ენისა და ლიტერატურის
სპეციალობით დაუსწრებლად დაამთავრა 1938 წელს. აქ იგი საუკე-
თესო სტუდენტთაგანია. 1937 წელს, სვანური ენის შესწავლის მიზ-
ნით, მორდენი ზემო სვანეთში მიემგზავრება, სადაც ერთი წელი იმ-
სახურა სოფ. მულახის სრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის
გამგედ და რუსული ენის მასწავლებლად. აქ მან საფუძვლიანად შეის-
წავლა სვანური ენა, რომელიც შემდგომში თავის ნაშრომებში ფართოდ
გამოიყენა. სვანეთში მისი წასვლა დაკავშირებული უნდა ყოფილი-
ყო აგრეთვე ამ კუთხეში ებრაული მოსახლეობის საკითხის შესწავლასა
და უნიკალური ხელნაწერის — ლაილაშის ბიბლიის (X—XI სს.) —
მოპოვებასთან, რომელიც მუზეუმის ფონდს ცნობილ ბრეთის ბიბლი-
ასთან (გადაწერილია სალონიკში 1513 წ.) ერთად შეემატა 1940 წელს.
ამჟამად ლაილაშის ბიბლია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

ამავე პერიოდში (1938—1939 წწ.) მორდები მუშაობს ქ. დაუ-
ჯიყაუს ქართულ სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად, ხოლო სა-
მამულო ომის წლებში (1942—43 წწ.) — ი. ჭავჭავაძის სახ. ლაგოდების
ქართული საშუალო და სოფ. შრომის არასრული საშუალო სკოლებას
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად (ჯანმრთელობის
მდგომარეობის გამო — ბავშვობიდანვე სუსტი მხედველობა ჰქონდა
— ვერ მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში).

1938 წელს უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედაგოგიური სექ-
ტორის ხელმძღვანელობამ შუამდგომლობით მიმართა ასპირანტურის
სექტორს მისი ასპირანტად მიღების შესახებ, რაც განპირობებული
იყო იმით, რომ „კურსდამთავრებული მ. მამისთვალავი იჩენს განსა-
კუთრებულ შიდა რეკილებას, ცოდნასა და მეცნიერული დაკვირვების
უნარს ქართული ენის ხაზით“. ასპირანტურაში მისაღები გამოცდების
ჩაბარების შემდეგ, 1938 წელს, მორდები ჩაირიცხა ასპირანტად ქარ-
თული ენის კათედრაზე. ასპირანტურაში მისაღები გამოცდები ჩაი-
ბარეს აკადემიკოსებმა ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, პროფ. მ. გოგიბე-
რიძემ და სხვ. მორდების ხელმძღვანელობა ითავა სახელგანთქმულმა
მეცნიერმა, ქართული ენის კათედრის გამგემ აკადემიკოსმა ა. შანი-
ძემ. უნდა აღინიშნოს, რომ მ. მამისთვალავი იყო ერთ-ერთი პირველი
ასპირანტთაგანი იყო ქართველ ებრაელთა შორის. სადისერტაციო თე-
მად დაუმტკიცდა „ახალციხელ ებრაელთა ქართული“. თემა ითვალის-
წინებდა ახალციხელი ებრაელების დემოგრაფიის, ისტორიის, კულ-
ტურულ-ეკონომიკური მდგომარეობის, მათი ქართულის, ფონეტიკის,
მორფოლოგიის, სინტაქსის თვისებების შესწავლას, მათი მეტყველე-
ბის, ახალციხელ და საქართველოს სხვა კუთხეების ებრაელთა ურ-
თიერთობის შესწავლას.

ასპირანტურის წლებში მ. მამისთვალავი გულმოდგინედ სწა-
ვლობს. ღებულობს ღრმა, საფუძვლიან ცოდნას და წარმატებით აბა-
რებს საკანდიდატო გამოცდებს ქართულ, სვანურ, სომხურ, ბერძნულ,
გერმანულ ენებში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში.
აქ ის სწავლობდა და გამოცდებს აბარებდა სახელოვან მეცნიერებს:
ა. შანიძეს, ვ. თოფურაის, ი. აბულაძეს, ს. ყაუხჩიშვილს, მ. გოგიბე-
რიძეს, კ. ბაქრაძეს, ნ. ქადაგიძეს, ვ. ურუშაძეს და სხვ. 1943 წ. მ. მა-
მისთვალავი ამთავრებს ასპირანტურას და ბრუნდება საქართველოს
ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მეცნიერ მუშაკის
თანამდებობაზე.

ასპირანტურაში სწავლის პარალელურად მორღეხი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საქმიანობაში — გამოფენების მოწყობაში, სამეცნიერო კვლევით მუშაობაში. 1938 წ. ივლისში მუზეუმმა მოაწყო სპეციალური მოძრავი გამოფენა ათეისტურ თემაზე. გამოფენამ შემოიარა საქართველოს ებრაელთა დასახლებული რაიონები: ცხინვალი, სურამი, კულაში, საჩხერე, ქარელი, გორი, აგრეთვე ებრაელთა კოლმეურნეობები — „წითელი გორა“ (სიღნაღის რაიონში) და „ტირიფონა“ (შიდა ქართლში). გამოფენას თან ახლდნენ მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლები ი. პაპისმედოვი და მ. მამისთვალოვი. მორღეხი მიმზიდველად ატარებს ექსკურსიებს მუზეუმში, ახალგაზრდობისათვის სამაგალითო და მისაბძია. ამის შესახებ კარგად წერს მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი ი. კეზერაშვილი სტატიაში „საქართველოს ებრაელთა ყოფილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შესახებ“ (გაზეთი „ალია-საქართველოდან“, № 79, 10. 10. 92 წ.), ის აღნიშნავს, თუ რა სიამოვნება მიანიჭა მ. მამისთვალის მიერ მუზეუმში ჩატარებულმა ექსკურსიამ გამოჩენილ ქართველ პოეტთა ჯგუფს. ამავე სტატიიდან ნათლად ჩანს, თუ რა ყურადღებას იჩენდნენ ქართველი სახელმძღვანელო მეცნიერები, მათ შორის აკადემიკოსი ს. ჯანაშია მუზეუმის ებრაელი ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტების საქმეში. 1940 წელს მუზეუმის გამომცემლობა აქვეყნებს მუზეუმის შრომების პირველ ტომს, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა მუზეუმის ცხოვრებაში და, საერთოდ, ქართველი ებრაელების ისტორიის შესწავლის საქმეში. აღნიშნულ ტომში სხვა საყურადღებო სტატიებთან ერთად ქვეყნდება მ. მამისთვალის მიერ სტატია „ტერმინები „ებრაელი“. „ისრაელი“, „ურია“ (საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, თბილისი 1940 წ. გვ. 145—156), რომელიც მან წაიკითხა მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის საჯარო სხდომაზე 1940 წ. 9 ივნისს.

ამ ნაშრომში განხილულია შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები და გეოგრაფიული დასახლებები სხვადასხვა (ებრაულ, ქართულ, სირიულ, სომხურ, სვანურ, მეგრულ, ჭანურ, ააფხაზურ, რუსულ, უკრაინულ და სხვ.) ენებზე. ისტორიული განვითარების ფონზე მათი ენათმეცნიერული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ქართულ ენაში ამ ტერმინების წარმოშობის, გავრცელებისა და შინაარსის საკითხები. ის აკეთებს დას-

კვას, რომ ქართულ ენაში ტერმინი „ებრაელი“ შესატყვისია ებრაული „ეივრი“-ს, „ისრაელი“ — „ისრაელი“-ს, ხოლო „ურია“ — ებრაული „იეჰუდი“-დან გამომდინარეობს. თანამედროვე გაგებით, ტერმინი „ურია“ შეუტრაცხმყოფელ სახელწოდებად ითვლება და ის რუსულ ენაზე „ჟიდის“ შინაარსს ატარებს. ამავ ენაში მიმოხილულია აგრეთვე საქართველოში ებრაელთა დასახლებისა და მოსახლეობის საკითხებთან დაკავშირებული არსებული ლიტერატურა.

შევნიშნავთ, რომ ეს ნაშრომი, როგორც საინტერესო, მოხსენიებულია შალვა წიწუაშვილის საგაზეთო წერილში „ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 5. 08. 1988 წ., № 12), ფართოდ არის გამოყენებული გურამ შეტრეველის საგაზეთო წერილში „ქართველები და ებრაელები“ (გაზეთი „უწყებანი“, 12. 08. 1993 წ.) და განხილულია ისტორიის მეცნი. დოქტორის, პროფ. ელდარ მამისთვალის შვილის მონოგრაფიაში „საქართველოს ებრაელების ისტორია“ (იხ. გაზეთი „მენორა“, 1995 წ., № II, სადაც გამოქვეყნებულია მონოგრაფიის ცალკე თავი 3. ლეგენდა და სინამდვილე).

აღსანიშნავია მ. მამისთვალის შვილის მონაწილეობა 1938 წელს მცხეთაში აღმოჩენილი ჩვენი წელთაღრიცხვის II—III ან IV—V საუკუნეებს მიკუთვნებული სამარხის ქვის წარწერის გარჩევა-წაკითხვაში (ა. კრიხელი, მცხეთაში აღმოჩენილი ქვა ებრაული წარწერით. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 2, თბილისი, 1941 წ. გვ. 111—133). ქვაზე იყო ხუთსტრიქონიანი წარწერა, ამასთან მე-4 სტრიქონი დაზიანებული. ქვის წარწერა წაკითხეს როგორც აკადემიკოსმა გ. წერეთელმა (იხსანად დოცენტმა), ასევე განსხვავებული წაკითხვით მუზეუმის თანამშრომლებმა მ. მამისთვალის შვილის მონაწილეობით. თავდაპირველად მათ მიერ შემუშავდა ორი ვარიანტი, რომელთა პირველი სამი სტრიქონი (მე-3 სტრიქონის მე-2 სიტყვის გარდა) და მეხუთე სტრიქონი თითქმის მთლიანად ემთხვეოდა ერთმანეთს. საკამათო იყო ნაწილობრივ მესამე და მეოთხე სტრიქონი. მათ მოიშველიეს გ. წერეთლის მიერ წარდგენილი განსაკუთრებული ვარიანტიც, მაგრამ საკამათო ადგილები მაინც ვერ გადაწყდა. და აი, აქ იჩენს თავს მორღებ მამისთვალის შვილის ღრმა ცოდნა, დიდი ერუდიცია. როგორც ა. კრიხელი აღნიშნავს, მ. მამისთვალის შვილმა მას სწორად უკარნახა მე-4 სტრიქონის პირველი სიტყვის წაკითხვა. ეს სიტყვა საკვანძო აღმოჩნდა. მისი, მორღების მიერ ნაჩ-

ენები მნიშვნელობით წაკითხვის შემდეგ, საკითხი გადაწყდა. ტექსტმა ჩამოყალიბებული ებრაული საფლავის ქვის წარწერის შესაბამისი ტრადიციული შინაარსი მიიღო.

ამავე პერიოდში მ. მამისთვალისშვილი აქტიურად და ნაყოფიერად მონაწილეობს საქართველოში ებრაელთა შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტების მოპოვება-დამუშავებასა და გამოქვეყნებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ებრაელთა ისტორიის შესწავლისათვის და არანაკლები — საერთოდ საქართველოს ისტორიისათვის, რადგან, აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვები რომ გავიხსენოთ, „აქ მრავალი რამაა „არაებრაულიც“ და მხოლოდ საქართველოს ებრაელთა ცხოვრების შესწავლაც საქართველოს ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია“. მუზეუმის შრომებში მოთავსებული ისტორიული დოკუმენტები I და III ტომებში (აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) ნაწილობრივ, ხოლო II ტომში (პროფ. შ. ჩხეტიას ხელმძღვანელობით, გვ. 149—189) მთლიანად დამუშავებულია მ. მამისთვალისშვილის მიერ. ამით აიხსნება, რომ მან ზედმიწევნით კარგად იცოდა, როგორც საერთოდ საქართველოს ებრაელთა, ასევე, მათი ცალკეული საგვარეულოთა ისტორია.

მუზეუმის შრომათა III ტომში (თბილისი, 1945 წ.) მ. მამისთვალისშვილი ურთავს წინასიტყვაობას (გვ. 91—93) ა. კრიხელის მიერ ებრაულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ი. ჩორნის „მოგზაურობის“ წიგნის (გამოიცა 1884 წ. სანკტ-პეტერბურგში) ცალკეული თავების პუბლიკაციას (გვ. 94—134). ამ თავებში აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა ისტორიული და ეთნოგრაფიული სინამდვილე. რაც შეეხება იმ თავების თარგმანის გამოქვეყნებას, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პუნქტების (რაც ამ თავებში არ არის), ასევე დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მოსახლეობას შეეხებოდა, მუზეუმს მომავლისათვის ჰქონდა განზრახული, მაგრამ ვერ განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ ი. ჩორნის „მოგზაურობის“ წიგნის თარგმნა 50 წლის შემდეგ დაუბრუნდა ისრაელში მოღვაწე საქართველოდან ამოსული მეცნიერი და პოეტი იცხაკ დავიდი (ისაკ დავითაშვილი). (იხ. ქურნალი „განთიადი“, № 3—4, ქუთაისი, 1996, 13—51 გვ.).

ამ წლებში მ. მამისთვალისშვილი განაგრძობდა დისერტაციაზე მუშაობას. 1948 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მან წარადგინა დისერტაცია თემაზე: „ზმნის რთული

პირველი ფორმები ქართულში“. ნაშრომში ქართული და ქართველური ენების (სვანური, ზანური) ისტორიული განვითარების ფონზე მრავალმხრივად განხილულია ზმნის პირველი ფორმების ანუ მწკრივების საკითხი. იგი წარმოდგენილია 209 გვერდზე, შედგება შესავლისა და ორი თავისაგან (სულ 17 პარაგრაფი), მოცემულია დამოწმებულ ტექსტების და შემოკლებების დასახელება (63 წყარო) და გამოკვლევაში აღძრული საკითხების შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურა (36 დასახელება ქართულ ენაზე, 14 — რუსულზე და 2 — უცხოურზე).

ნაშრომში აღნიშნულია, რომ „ქართველური ენების ზმნის მარტივი პირველი ფორმების ანუ მწკრივების ბუნება და თვისება თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერებაში თითქმის ამომწურავად არის შესწავლილი და გაშუქებული, რაც შეეხება ქართული ზმნის რთულ პირველ ფორმებს, ისინი, როგორც ზმნის ფორმები, თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოდ არც განხილულა და წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მათი ამ თეალსაზრისით შესწავლა-განხილვისა და როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფია პირველ ცდას წარმოადგენს. ამავე დროს ამ დიბუებათა წამოყენება, რომელიც წინამდებარე ცდის სახით არის მოცემული, ძირითადად ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით და ამ გამოკვლევის ავტორის ხელში ასეთი მასალების გარკვეული დაგროვების შედეგად არის წარმოებული“.

ნაშრომში დასმული საკითხის შესწავლისათვის მ. მამისთვალის შვილს ფართოდ აქვს გამოყენებული ტექსტები როგორც ძველ, საშუალო და ახალ ქართულ და ქართველურ (სვანური, ზანური), ასევე ებრაულ, ბერძნულ, სირიულ, სომხურ, გერმანულ, რუსულ და სხვა ენებზე არსებული ლიტერატურული ძეგლებიდან, ასევე შესასწავლა საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა.

სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნებოდა მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის, აკადემიკოს ა. შანიძის მიერ ჩამოყალიბებულ მწკრივთა თეორიას. მ. მამისთვალის შვილი ასაბუთებდა ახალ დებულებებს, რომ ძველსა და საშუალო ქართულს, გარდა მეცნიერებაში ცნობილი ზმნური ფორმებისა, კიდევ გააჩნდა ე. წ. მოდალურ „მცა“ ნაწილაკიანი მწკრივები, რომლებიც თავიანთი გრამატიკული ფუნქციის შესაბამისად ორ ჯგუფად იყოფა — ოპტატივებად (ნატვრით-პირობითი) და ჰიპოტეტივებად ანუ ირეალისებად, რაც იმ დრომდე



გამოვლენილი და შესწავლილი არ იყო. ნაშრომი განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა. განხილვაზე აღნიშნულ იქნა, რომ მ. მამისთვალისთვის სადისერტაციოდ ადრე სხვა თემა ჰქონდა მიცემული, რომ წარმოდგენილი ნაშრომი ადრე განსაზღვრულისაგან უნდა გამომდინარეობდეს და რომ ნაშრომის წარმოდგენილი სახით გატანას არ შეეძლო სარგებლობა მოეტანა დისერტანტისათვის.

კათედრამ დაასკვნა, რომ ავტორს დიდი შრომა გაუწევია, მაგრამ შედეგი არ იძლევა საშუალებას, რომ მას მიეცეს დასტური სადისერტაციოდ წარდგენისა.

ამით მორდებსა მიიღო პირველი მძიმე დარტყმა თავის არა მხოლოდ სამეცნიერო მოღვაწეობაში, არამედ ცხოვრებაშიც. მეორე მძიმე დარტყმამაც არ დააყოვნა. ეს იყო 1951—1952 წლებში, როდესაც ებრაული საქმიანობის რეპრესიების პერიოდში გაუქმებულ იქნა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ამ დროიდან იწყება მეტად მძიმე პერიოდი ბატონ მორდების ცხოვრებაში.

დისერტაციის დაცვას პირველი წარუმატებელი ცდისაგან ხუთი წლის შემდეგ, 1953 წელს, მან იმავე უნივერსიტეტში კვლავ წარადგინა დისერტაციის გადამუშავებული ვარიანტი სათაურით „მწკრივები ძველსა და ახალ ქართულში“. ამჯერად ნაშრომი წარდგენილ იქნა მნიშვნელოვნად ლაკონიურად (77 გვ.), ამოღებული იყო ადრე ციტირებული ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი, შეიცავდა ა. შანიძის მწკრივთა თეორიის მისეული გაგების გადმოცემასა და კრიტიკულ ანალიზს და იძლეოდა მის მიერ წამოყენებული დებულებების დასაბუთებას. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ, პრაქტიკულად იმავე შემადგენლობით, როგორც იყო 1948 წელს, ნაშრომი საჯარო დაცვაზე არ დაუშვა. საკითხის დადებითად გადაწყვეტას არც იმ პერიოდში უნივერსიტეტის რექტორთან მ. მამისთვალისთვის მიმართვებმა უშველეს.

1951—1953 წლებში მორდები მუშაობს საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობაში კორექტორის თანამდებობაზე, შემდეგ (დაახლოებით 1953—1975 წწ.) ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ბიბლიოთეკაში (კორექტირებას უწევს სამინისტროს დოკუმენტებს), ხოლო 1975 წლიდან 1984 წლამდე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუ-

ტის ახალგაზრდულ კლუბში. ყველა ამ ორგანიზაციაში მორდენს ახალითებენ როგორც პატიოსან და საქმისადმი ერთგულ მუშაკს, სარგებლობს პატივისცემითა და თანაგრძნობით, პარალელურად, თუმცა არასისტემატურად, კვლავ მუშაობს ებრაულ თემატიკაზე და თავის სამეცნიერო ნაშრომის განვითარება-დახვეწაზე.

1964 წელს ქართველ ებრაელთა წრიდან გამოსული თვალსაჩინო მწერლის გერცელ ბაზოვის დაბადების 60 წლისთავის გამო, რომელიც ფართოდ და დიდი პატივით აღნიშნა საქართველოს საზოგადოებამ იმხანად კულტურის მინისტრის ბატონ თენგიზ ბუაჩიძის თავკაცობით, მ. მამისთვალისშვილი გაზეთ „კომუნისტი“ აქვეყნებს ვრცელ სტატიას (იხ. „მართალი მხატვარი“, გაზეთი კომუნისტი № 269, 17. II. 64 წ.), რომელშიც მიმოიხილავს როგორც გ. ბაზოვის შემოქმედებით შემკვიდრებულს — მოთხრობებს, რომანებს, პიესებს, ასევე მის საერთო მოღვაწეობას, განსაკუთრებით პედაგოგიურს და კულტურულ-საგანმანათლებლოს, რომელიც მან ძირითადად ქართველ ებრაელთა შორის გასწია.

1967 წლის ისრაელის ექვსდღიანი ომის შემდეგ იწყება ებრაული თემატიკის გამოცოცხლება. ამ პერიოდში მ. მამისთვალისშვილი ებრაელთა ახალი თაობის ყურადღებას იქცევს. ისრაელში 1969 წელს ქვეყნდება ბორის გაბონოვის მიერ ებრაულ ენაზე (ივრითზე) შესრულებული რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი, რასაც მ. მამისთვალისშვილი ჟურნალისტ მიხაელ (მიშა) ჯანაშვილთან ერთად საგაზეთო წერილით გამოეხმაურა (იხ. გაზეთი „ვეჩერნი თბილისი“, № 147/4900, 25. 06. 1969 წ.). წერილში მოყვანილია როგორც მთარგმნელის ბიოგრაფიული მასალები (1994 წ. შესრულდა ბ. გაბონოვის დაბადების 60 წლისთავი, გარდაიცვალა ისრაელში 1972 წ.), ასევე მეცნიერთა და წერილის ავტორთა აზრი თარგმანის მაღალი ღირსებების შესახებ, აღნიშნულია წიგნში მოყვანილი აკადემიკოს ა. ბარამიძის სტატია რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, აგრეთვე მხატვრული გაფორმებისა (მამუკა თავაქარაშვილი) და პოლიგრაფიული გამოცემის მაღალი დონე. როგორც ებრაული ენის ჩინებული მცოდნე, ამ პერიოდში მ. მამისთვალისშვილი მეტად ფასეულ დახმარებას უწევს შესანიშნავ პოეტსა და მთარგმნელს ჯემალ აჯიაშვილს ებრაულიდან „შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის“ თარგმანზე მუშაობისას, თარგმნის ფესახის (იგივე პასეჩი) „პაგადას“ (ლეგენდას). ახალციხელ ქართველ ებრაელთა ქართულის მიხედვით, ახ-

Handwritten note: K 223-728

2. მ. დანიელაშვილი

რულებს პროფ. ი. მეგრელიძის მიერ სოფ. თამარაშენში მიკვლეულ ებრაული სამარხის (1862 წ.) ქვის ებრაული წარწერის ტრანსლიტერაციას ქართულზე და ქართულ თარგმანს (იხ. ი. მეგრელიძე, „სიძველენი ლიხვის ხეობაში“, თბილისი, 1984 წ. გვ. 197), ახლო მეგობართა და ნაცნობთა ვიწრო წრეში, პრაქტიკულად აკრძალულ პირობებში, ასწავლის ებრაულ ენას. ამ პერიოდში მისი მეგობრებისა და მოსწავლეების წრეში არიან იხეინერი მორის დანიელოვი, თოჯინების თეატრის რეჟისორი მოსე დანიელაშვილი, მხატვარი მიშა ჯანაშვილი, სემიტოლოგი ნისან ბაბალიკაშვილი, ჟურნალისტები: მიხაელ ჯანაშვილი და დავით ბუჭუკაშვილი, მათემატიკოსები: ალბერტ გორელიშვილი, ამირან და შალვა ჩაჩანაშვილები, იხეინერი ბორის ბინაშვილი და სხვ.

მორდები ჩინებული მცოდნე იყო იმ ებრაული საგალობლებისა, რომლებიც საქართველოს სალოცავებში საუკუნეების განმავლობაში ზეპირი გადმოცემით სრულდებოდა. ეს საგალობლები მან საკუთარი შესრულებით ჩააწერინა ცნობილ კომპოზიტორ იოსებ (სოსო) ბარდნაშვილს 1984 წლის ზაფხულში, ბათუმში, შემდგომი თაობებისათვის მათი შემონახვისა და აგრეთვე მის შემოქმედებაში მათი გამოყენების მიზნით. აღსანიშნავია, რომ, ი. ბარდნაშვილის გადმოცემით, ქართველ ებრაელთა ლოცვანი და საგალობლები პირველად ჩხივებზე ჩაიწერა 1930-იან წლებში სურამში ადგილობრივი საკრებულოს წევრების შესრულებით მუსიკათმცოდნე პროფ. გრიგოლ ჩხიკვაძემ. დასანანი, რომ ეს ჩანაწერები დღემდე არ გამოქვეყნებულა და ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი.

მავრამ ბატონი მორდების მთავარი საზრუნავი და საფიქრალი მაინც მისი სამეცნიერო შრომა იყო. ის 1968 წელს ამთავრებს დისერტაციას „მოდალურნაწილაკიანი მწკრივები ქართულში“ (401 გვ.), რომელიც შედგება შესავლისაგან, სამი ნაწილისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ენობრივი ძეგლების შემოკლებული დასახელებების განმარტებისაგან (83 ერთეული) და ნაშრომში განხილული საკითხების შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურის სიისაგან (34 დასახელება). მიუხედავად ისევ თბილისის უნივერსიტეტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში მიმართვისა, ნაშრომს არ იხილავენ და, როგორც დისერტაციას, დასაცავად არ ლებულობენ.

მ. მამისთვლიშვილი პრაქტიკულად ხელს იღებს დისერტაციის დაცვაზე და ცდილობს ნაშრომი გამოაქვეყნოს წიგნად, როგორც მო-

ნოგრაფია. ის უკვე აღარ მიმართავს უნივერსიტეტს და იწყება ახალი ეტაპი ნაშრომის გამოსაქვეყნებლად ბრძოლისა. 1970 წელს მიმართავს გამომცემლობა „მეცნიერებას“, რომელიც ნაშრომს რეცენზიისათვის უგზავნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს. ინსტიტუტის თანამშრომლებმა ნაშრომის გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს. ამავე პერიოდში რეცენზიისათვის ის მიმართავს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს. ნაშრომს იხილავს ქართული ენის კათედრა და იწერება წერილი, რომელიც არის „ნაბიჯი წინ — ნაბიჯი უკან“ — ნულოვანი ვარიანტი. აღნიშნავენ, რომ „ნაშრომი, ჩანს, ხანგრძლივი ძიების შედეგია და იმსახურებს გამოქვეყნებასაც, მაგრამ საბოლოო შეფასებისა და დასკვნისათვის უნდა გადაეგზავნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას“.

ამრიგად, ნაშრომის გამოქვეყნების ცდის „წრე ჩაიკეტა“.

გადაეკეტა რა გზა ყველა სამეცნიერო დაწესებულებისაკენ, 1976 წლის მიწურულში განცხადებით მიმართავს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს. განცხადებაში აღნიშნავს, რომ მის მიერ შესრულებულ ნაშრომში წამოყენებული და დასაბუთებულია ახალი თვალსაზრისი ქართული ენის ისტორიის არაერთი საკითხის შესახებ, მას კი არ ეძლევა შესაძლებლობა გამოაქვეყნოს თავისი მეცნიერული შედეგები და რომ ვისგანაც მოელოდა მხარდაჭერას და სწორი თვალსაზრისის ავტორად აღიარებას, სწორედ მათ მიერ იქნა უკუგდებული. განმცხადებელი ითხოვდა წიგნის შესაფასებლად სპეციალური კომისიის გამოყოფასა და დახმარებას წიგნის გამოცემაში.

განცხადებას თან ერთვოდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ბ. კანდელაკის დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ავტორს კოლოსალური მუშაობა გაუწევია, რათა გაერკვია მოდალურ-ნაწილაკიანი მწკრივები ქართულში და რომ ნაშრომის გამოქვეყნება ფრიად სასარგებლო საქმეა.

ნაშრომი დასკვნისათვის გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტს და პერსონალურად პროფესორ ი. მეგრელიძეს.

პირველი მეცნიერი, ვინც გაბედულად ხმა ამოიღო მ. მამისთვალიშვილის ნაშრომის და პიროვნების დასაცავად, ეს იყო ქეშმარიტად რაინდული ბუნების ადამიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დო-

ქტორი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე. ის თავის ვრცელ რეცენზიაში (10 გვ.) აღნიშნავს, რომ გამოკვლევა წარმოადგენს დიდსა (346 გვ.) და გრამატიკულად რთულ კატეგორიებზე შექმნილ მონოგრაფიას, მის საფუძვლიანად გაცნობასა და განხილვას დიდი დრო და ენერჯია დასჭირდა, ამიტომაც, რომ ზემდგომი ორგანოს ამ დავალებას სწრაფად ვერ ვუპასუხეთო. რეცენზენტი ღნიშნავს, რომ „მ. მამისთვალისფილმა ზოგიერთი ცნობილი მეცნიერის საწინააღმდეგო მეცნიერული აზრი გამოთქვა და არასპეციალობით მუშაობს დაბალ ხელფასზე. ასეთ პირობებში და სხვის დაუხმარებლად საფუძვლიანი კვლევა-ძიების გამო ავტორისადმი პატივისცემის გრძნობით ვიმსჯელებით“. ი. მეგრელიძე თვლის, რომ „მ. მამისთვალისფილის ნაშრომი ღირსებების მიხედვით უნდა დაფასდეს, ხოლო შრომის ავტორს შესაფერი სამსახური უნდა მოეძებნოს“. ამის შემდეგ ის მიმოიხილავს მონოგრაფიას, აღნიშნავს ნაშრომის სიახლე-მიგნებებს, სადავო საკითხებს, ნაკლოვანებებს. რეცენზიის დასკვნაში აღნიშნულია: „მ. მამისთვალისფილს მიერ 25 წლისა და მეტი ხნის განმავლობაში შექმნილი მონოგრაფია „მოდალურნაწილაკიანი მწკრივები ქართულში“ არის სერიოზული ნაშრომი. იგი სპეციალისტის მიერ ჩატარებული უაღრესად შრომატევადი კვლევა-ძიების შედეგია. წარმოდგენილი მონოგრაფიის სახით ჩვენს ხელთაა გამოკვლევა ქართული ენის ისტორიის რთულ საკითხებზე. ნაშრომი ღირსია იმისა, რომ იგი, სათანადო რედაქტირების, სადავო ადგილების შემოკლებისა და დახვეწის შემდეგ, გამოიცეს. მეტიც, თუ ავტორი მას სახარისხოდ ისურვებს, უდავოდ, იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს, სცილდება მის მოთხოვნებსაც და უახლოვდება სადოქტორო დისერტაციას“.

მეორე მეცნიერი, რომელმაც აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის პერსონალური დავალებით დაწერა რეცენზია და მხარში ამოუდგა პროფ. ი. მეგრელიძეს, არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამსონ ენუქაშვილი. რეცენზენტი მიმოიხილავს ნაშრომის აღნაგობასა და შინაარსს და აღნიშნავს, რომ „სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს ვრცელ, სერიოზულ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც საინტერესო პრობლემას ეძღვნება. ესაა მოდალურნაწილაკიანი მწკრივები ქართულში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის დაყენებისა და გადაწყვეტის საფუძველს ავტორისათვის წარმოადგენს აკად. აკ. შანიძის ცნობილი მწკრივთა თეორია. ამოღის

რა ამ თეორიიდან, მან ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულება იმის თა-
ობაზე, რომ ძველსა და საშუალო ქართულს, გარდა მეცნიერებაში ცნო-
ბილი ზმნური ფორმებისა, კიდევ გააჩნდა ე. წ. მოდალურნაწილაკი-
ანი მწკრივები“.

რეცენზენტი აღნიშნავს განსახილველი ნაშრომის მთელ რიგ მი-
გნებებს, ორიგინალურ მოსაზრებებს, ხელშესახებ მეცნიერულ ღირ-
სებებს, აგრეთვე გამოთქვამს შენიშვნებს ზოგიერთ ხარვეზზე, სადა-
ვო მხარეებზე. ის მსჯელობს ნაშრომის გამოქვეყნება-არგამოქვეყნე-
ბის საკითხის შესახებ და წერს: „განა მეცნიერებაში ცოტა რამ გვაქვს
სადავო და საცილობელი ანდა პრობლემატური? თუ ჩვენ დავუშვებთ,
რომ ეს ნაშრომი ამგვარია, მაშინაც კი არ იქნებოდა გამართლებული
ამოდენა ნაშრომ-ნაღვაწის წყალში გადაყრა, მით უმეტეს მაშინ, რო-
დესაც განსახილველი გამოკვლევა არაა მოკლებული პოზიტიურ ღირ-
სებებს, საყურადღებო მიგნებებსა და სიახლეებს, მეცნიერება ისეთი
ბუნების მქონე მოვლენაა, რომელიც სიახლეებით და მიგნებით მდ-
ღრდება და ვითარდება, დავასა და ცილობაში იჭედება. ასე რომ,
შრომის პუბლიკაციის უარყოფა არც ამ შემთხვევაში იქნებოდა მი-
ზანშეწონილი. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეცნიერულ
ცოდნა-ბრალის განკითხვისათვის არსებობს მრავალნაწილი და უტყუარი
იარაღი — კრიტიკა. წიგნი დაისტამბოს, მკითხველი გაეცნოს და შე-
მდეგ პირუთვნელი კრიტიკის საშუალებით ღირებული მივიღოთ, უარ-
საყოფო უკუუვადოთ. მოეწყობა დაბეჭდილი წიგნის განხილვა, დისკუ-
ტი მის ირგვლივ, რაც მეცნიერებას მხოლოდ სარგებლობას მოუტანს“.

რეცენზენტი გულისტკივილით დასძენს, რომ „გაუგებარია, თუ რატომ
ვერ იხილა ამ მონოგრაფიამ მზის სინათლე, რატომ აქამდე ვერ მოი-
პოვა მისმა ავტორმა რომელიმე სამეცნიერო ხარისხი და რატომ აქამ-
დე ეს ავტორი არ მუშაობს ქართული ენის მეცნიერ-სპეციალისტის
თანრიგით. თქმა იმისა, რომ ავტორს დიდი შრომა გაუწევია, ამ შემ-
თხვევაში არაფერს ნიშნავს, რადგან საქმე ეხება განსაკუთრებულ მო-
ვლენას. მ. მამისთვალისშვილს თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში
მძიმე მატერიალურ და სულიერ მდგომარეობაში გამოუჩენია გასა-
ოცარი სიყვარული და თავდადება ქართული ენისადმი, „ხელი-ხელ
საგოგმანებლად“ გაუხდია იგი და დღესაც ფანატიკური ერთგულებით
ემსახურება მას“.

დადებითი რეცენზიები დაიწერა 1978 წელს. მათი მიღების შეკ-
დეგ იწყება ახალი ეტაპი წიგნის გამოცემის „მოწამებრივ გზაზე“ სკ-

არულისა. მ. მამისთვალისშვილი, რეცენზენტების შენიშვნების გათვალისწინებით, კორექტირებას უკეთებს თავის მონოგრაფიას და იძლევა მის რედაქციას (1980 წ.). ისევ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, „განსახკომი“, „განათლება“, „მეცნიერება“ და სხვა გამომცემლობები, ისევ წერილები, დასკვნები და ისევ უარი წიგნის გამოცემაზე. ამ საკითხშიც „მოჯადოებული წრე ჩაიკეტა“. ასეთ მდგომარეობას ბატონი მორდენი მიძიმედ განიცდიდა. ამ სტრუქტურების ავტორს დაახლოებით 1965 წლიდან, მიუხედავად ასაკში მნიშვნელოვანი სხვაობისა, ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა მასთან. მამაჩემიც, არონ დანიელაშვილი, მეგობრობდა მორდენთან. ბატონი მორდენი ხშირად ამბობდა, რომ ყოველი ახალი გზას ძნელად იკვლევს. მეც, ვხედავდი რა მის განცდებს, ვამხნევებდი, ვახსენებდი მაგალითებს მეცნიერების ისტორიიდან, ვეუბნებოდი, რომ მისი მდგომარეობა არ არის გასაკვირველი, რომ მის თავზე არაფერი ხდება ისეთი, რაც სხვას არ გადახდენია. ჩვენი სინამდვილიდან ვახსენებდი ი. ბერიტაშვილის დეენის და სხვათა მაგალითებს.

ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ბატონმა მორდენმა და ამ სტრუქტურების ავტორმა გადაწყვიტეთ, რომ მას მიემართა იმ დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისათვის, აკადემიკოს ევგენი ხარაძისათვის. მე იმ წლებში ბატონ ევგენისთან ხშირი შეხვედრები მქონდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ახალი ობიექტების მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით. ბატონ ევგენის ვუამბე მ. მამისთვალისშვილის მეცნიერული ნაშრომის, პიროვნული ღირსებების და მდგომარეობის შესახებ, ვთხოვე მიეღო და მოესმინა ბატონ მორდენისათვის. 1981 წლის დასაწყისში მოხდა ეს შეხვედრა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. რადგან ორივე პიროვნებას კარგად ვიცნობ, ჩემს თავს ნებას მივცემ, გადმოგცეთ ის პიროვნული შეხედულება და აზრი, რომელიც მაშინ აღმეძრა. ერთმანეთს შეხვდნენ, ერთი მხრივ, სახელგანთქმული მეცნიერი და საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და, მეორე მხრივ, ყოველგვარ ოფიციალურ სამეცნიერო სამსახურს მოკლებული სამეცნიერო ხარისხების არმქონე მეცნიერი. მაგრამ რამდენი საერთო იყო მათ შორის. ორივე დაახლოებით ერთი ასაკის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილი, ორივე თითქმის ერთნაირი აღნაგობის, უაღრესად ინტელიგენტური გარეგნობის, სუსტი მხედველობით, მკაფიო დიქციით, მაღალი კულტურის, უმწიკვლო, თავაზ-



ანი, საქმისადმი ერთგული და მეცნიერებისათვის თავდადებული როვნება.

ბატონმა ევგენიმ მორდეს სთხოვა მოეთხორო საქმის შინაარსა. ბატონმა მორდესმა ლაკონიურად მოუთხრო თავისი პიროვნებისა და სამუშაოს შესახებ, წარუდგინა მისი ორ წიგნად აკინძული მონოგრაფია, პროფ. ი. მეგრელიძის და პროფ. ს. ენუქაშვილის რეცენზიები, ასევე მოახსენა ენათმეცნიერების ინსტიტუტის უარყოფითი აზრის შესახებ და სთხოვა დახმარება ნაშრომის წიგნად გამოქვეყნებაში.

შევატყვი, რომ ბატონი ევგენი გარკვეული პატივისცემით განწყობილი მორდესისადმი. ყურადღებით გადაათვალიერა ორივე წიგნი, წაიკითხა შესავალი, გაეცნო რეცენზიებს, მოსთხოვა ამ მასალების დატოვება და ბატონ მორდესს უთხრა. შემდეგი: ის ვერ დაჰპირდება წიგნის გამოქვეყნებას, რადგან აკადემიისათვის საბეჭდი ქაღალდას პრობლემა მეტად მწვავედ დგას, მაგრამ შეძლებისდაგვარად დაეხმარება მისი ნაშრომის რეზიუმეს გამოქვეყნებაში ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია). ამისათვის საჭიროა, უთხრა ბატონმა ევგენიმ მისთვის ჩვეული ოდნავ მომთხოვნი ტონით ბატონ მორდესს, რომ მან ათი დღის ვადაში წარმოადგინოს ოცდაათხ გვერდზე (ერთსაგამომცემლო თაბახი) თავისი ნაშრომის რეზიუმე და მასზე რეცენზიები. ბატონი ევგენის მხრივ ეს იყო მეცნიერული სიმამაცე, მეცნიერებაში მონოპოლიზმისადმი და ავტორიტეტებისადმი წინაღობა, ჭეშმარიტების ძიებისადმი უდიდესი ერთგულება და პიროვნების უფლებების პატივისცემა.

ბატონმა მორდესმა შეასრულა ბატონი ევგენის მოთხოვნა და წარუდგინა თავისი ვრცელი ნაშრომის „მოდალურნაწილაკიანი მწკრავები ქართულში“ 23 გვერდიანი რეზიუმე პროფ. ი. მეგრელიძის რეცენზიის თანდართვით. ბატონმა ევგენიმ ნაშრომს მსვლელობა მისცა, „მაცნეს“ რედაქციამ ნაშრომი წარსადგენად ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაგზავნა, ისევე შენიშვნები და დასკვნა — ნაშრომის გამოქვეყნება ჟურნალ „მაცნეში“ წარმოდგენილია სახით მიზანშეუწონელია. ამის შემდეგ ბატონმა მორდესმა თავისი ნაშრომი კვლავ დახვეწა და 1981 წლის სექტემბერში 32 გვერდზე წარადგინა საბოლოო სახით პროფ. ს. ენუქაშვილის რეცენზიის თანდართვით. ამის შემდეგ ამ ნაშრომის გამოქვეყნების გზაზე კვლავ იყო გარკვეული სირთულეება, მაგრამ ბატონი ევგენის ყურადღების შედეგად ნაშრომი აკად. შ. ძიძიურის მიერ წარდგენილ იქნა ჟურნალ „მაცნეში“ გამოსაქვეყნებ-

ლად განიხილავს წესით. ასეთი გადაწყვეტილება ბატონი მორდების-
თვის სავსებით მისაღები იყო, მაგრამ ვაი რომ ის თავისი ნაშრომის
გამოქვეყნებას ვერ მოესწრო. როგორც ავლინმნეთ, ბატონი მორდები
გარდაიცვალა 1984 წლის 21 დეკემბერს, ნაშრომი კი გამოქვეყნდა
ქურნალში „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენა-
სა და ლიტერატურის სერია“, № 3, 1985 წ. მ. მამისთვალის შვილის ნა-
შრომში მოცემული დასკვნა ასეთი იყო: „დიდი ისტორიული შემო-
ბრუნება, ანუ დიდი ისტორიული მოხვეული ქართულ ენაში აღნიშ-
ნა არა მარტო ასპექტის კატეგორიის გადასვლამ უღლების სისტემი-
დან ზმნის წარმოქმნის კატეგორიათა სისტემაში, როგორც ეს ქართუ-
ლი ენის გრამატიკულ ლიტერატურაში დღემდე აღნუსხული, არამედ
აგრეთვე გრამატიკული კილოს კატეგორიაში მომხდარმა ცვლილებებ-
მაც. ქართულმა ენამ კილოს კატეგორიათა რაოდენობა შეამცირა. შე-
მცირება ძირითადად უღლების სისტემიდან მოდალურნაწილაკიანი
მწკრივთა ამოღების წესით მოხდა. მოვალეობითი კილოს კატეგორია
და ჰიპოთეტიკები ქართულმა ენამ თავისი უღლების სისტემიდან სრუ-
ლიად ამოიღო, მოვალეობითი კილოს კატეგორია მისი ლექსიკურა
გამოხატვის საშუალებათა რაოდენობაში გადაიტანა. კილოს კატეგო-
რიათა საკითხში ეს მნიშვნელოვანი გარდატეხა კი მოხდა და მისი სა-
ხით მოცემული გრამატიკული ცვლილებანი ქართულ ენაში გზას იკა-
ფავდა ანალოგიის პრინციპის ძლიერი მოქმედების შედეგად, ანუ იმ
პრინციპის საფუძველზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა მასალაზე
ზოგად ენათმეცნიერებაში კარგა ხანია უკვე ცნობილია როგორც ენის
ცვლებადობის საქმეში მოქმედი მეტად ძლიერი ფაქტორი და რო-
ლის ასეთი სიძლიერე დამტკიცებულია ისეთი დიდი ენათმეცნიერების
მიერ, როგორნიც იყვნენ: ავგუსტ ლესკინი (1840—1915), ჰაიმან ტშა-
ინთალი (1823—1899), ივან ბოდუენ დე კურტენე (1845—1929), ნი-
კოლაი კრუშევსკი (1851—1887), ბერთოდ დელბრიუკი (1842—
1922), ჰერმან ბაული (1846—1916), ვილჰელმ შერერი (1841—1886)
და სხვ. ანალოგიის პრინციპის ძლიერი მოქმედება ქართული ენის
მოდალურნაწილაკიან მწკრივთა მაგალითზე კი, სახელდობრ, ის, რომ
ქართული ენის კავშირებითი კილოს ფორმებთან მის ოპტატივთა დო-
ღმა შინაარსობრივმა სიახლოვემ შესაძლებელი გახადა ზმნის ფორმათა
ეს ორი წყება ხშირად ერთმანეთის თანაბრად მიჩნეულიყო და ყველა
მოდალურნაწილაკიანი მწკრივისა და მათი მაწარმოებელი ელემენტის
საკითხში ქართულ ენას როგორც დაჰკარგოდა, ისე შესძენოდა ყვე-



ლაფერი, რაც ამ პრინციპისადმი დაქვემდებარების გატარებად ან მას ერთგვარ ზემოქმედებად იყო შესაძლებელი“. როდესაც ბატონმა ევგენიმ ნაშრომის გამოქვეყნებამდე ჩემგან შეიტყო მორდენის გარდაცვალების შესახებ, ძალიან შეწუხდა და მითხრა, რომ ჩვენი ვალია ახლა კიდევ უფრო მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ მისი პიროვნებასადმი. ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, კავკასიოლოგთა ევროპული საზოგადოების VI კოლოკვიუმზე კავკასიამცოდნეთა პატრიარქად წოდებულმა პროფ. ი. მეგრელიძემ მადლობის წერილით მიმართა ბატონ ევგენის, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ჩვენი აკადემიის ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნე“ 1985 წ. № 3-ში დაბეჭდილი მორდენ მამისთვალის ვრცელი ნაშრომის რეზიუმე „მოდალურნაწილაკებიანი მწკრივები ქართულში“ აკადემიურადაა დაწერილი, ნათლად გადმოგვცემს საკითხის არსს და სიახლესაც შეიცავს. სამწუხაროდ, ავტორი ვერ მოესწრო ნაშრომის თუნდაც ამ რეზიუმეს დაბეჭდილი სახით ხილვას. მაგრამ საქმემ მოიგო და მ. მამისთვალისთვის ღვაწლიც წარმოჩინდა. მე რომ ვიცი, სტატია თქვენი ჩარევის გარეშე ვერ გამოქვეყნდებოდა, ამისთვის მადლობა თქვენ — სიმართლისა და ადამიანის უფლებების დამცველს“.

გავიდა ხანი. დაცხრა ვნებები, მოვიდა ახალი თაობა. ჩვენ მოკლედ მოუყუევით საკითხის ისტორია და თხოვნით მივმართეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ვ. შენგელიას, გამოეთქვა თავისი აზრი მ. მამისთვალის „მაცნეში“ გამოქვეყნებულ წერილზე. ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ვ. კვარაცხელიამ მხარი დაუჭირა ჩემს თხოვნას ნაშრომზე გამოხმაურების შესახებ, და თქვა: „რაც იყო, იყო, საკითხს უნდა შევხედოთ დღევანდელი თვალთახედვით“. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ გადმომცეს ახალი თაობის მეცნიერების წარმომადგენლის, მწკრივთა თეორიაში უშუალოდ მომუშავე სპეციალისტის, ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგის, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატის ა. არაბულის შეფასება, რომელიც ასეთია:

„მორდენ მამისთვალისთვის ნაშრომი „მოდალურნაწილაკებიანი მწკრივები ქართულში“ ქართული ზმნის სემანტიკურ კატეგორიათა ერთ მნიშვნელოვან უბანს — სპეციალური ნაწილაკების მეშვეობით მოდალურ მნიშვნელობათა გამოხატვას — შეეხება. ნაშრომი გამოირჩევა საკითხის დასმის სიახლით და პრობლემების ანალიზის სიღრ-

მით. ნაშრომის მნიშვნელობას ზრდის ის, რომ მოვლენა განხილულია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ სივრცეზე, მდიდარი სალიტერატურო მასალის მოხმობით როგორც ძველი, ისე საშუალო და ახალი პერიოდის ლიტერატურული ძეგლებიდან, თარგმანებიდან. ამ მასალის საფუძველზე წარმოჩენილია მთელი დინამიკა ქართულ ენაში, ავტორის ტერმინოლოგიით, ოპტიაციებისა და ირეალისების ჩამოყალიბება-განვითარებისა. შესაძლებელია, ქართული ზმნის საუღლებელი სისტემის კლასიფიკაციის ტრადიციული პრინციპების გათვალისწინებით, მოდალურნაწილაკიანი მწკრივების ცალკე საუღლებელ ერთეულებად გამოყოფას ვერ დავეთანხმით, მაგრამ საკითხის ამ კუთხით კვლევა რომ სასარგებლოა, ეს დავას არ იწვევს.

შეიძლება ითქვას, რომ მ. მამისთვალისშვილის ნაშრომი კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯია კავშირებითიანი და -მცა და უნოა ნაწილაკიანი კონსტრუქციების კვლევის საქმეებში დ მასარსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული ენის განვითარების ისტორიის (ავტორის შენიშვნით, კილოს კატეგორიაში მომხდარი ცვლილებები „დიდი ისტორიული შემობრუნება“ ქართულ ენაში), ასევე ზოგადმეცნიერულ, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ვინაიდან ანალოგიური პროცესები მხოლოდ ქართულისათვის არა ჩანს ნიშანდობლივი“.

მ. მამისთვალისშვილის დაუცველი დისერტაცია (1968 წ. რედაქცია) „მოდალურნაწილაკიანი მწკრივები ქართულში“ და ამავე დაახლოების გამოუქვეყნებული მონოგრაფიის უკანასკნელი ორი რედაქციის (1974 წ. და 1982 წ.) პირები, მის პირად, საკმაოდ საინტერესო სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან ერთად, ამ სტრიქონების ავტორის წინადადებით, მისმა ძმებმა, მეირ და გერცელ მამისთვალეებმა, გადასცეს ბატონ მორდესის მშობლიურ, ამაგდარ, დღეს უკვე აღდგენილ დავიდ ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. სასურველია, რომ მისი მონოგრაფია გამოქვეყნებულია სახით ხელმისაწვდომი გახდეს ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის, ქართული და ზოგადი ენათმეცნიერების განვითარების სასარგებლოდ, ენათმეცნიერებაში მორდეს მამისთვალისშვილის ნაღვაწის წარმოსაჩენად.

מורדכי ממיסתולשוילי - חייו ופעלו / מאת משה דניאלשווילי

מורדכי ממיסתולשווילי (ממסיתולוב) ידוע בחוג הבוגר יותר של יהודי גרוזיה ובחוגים מסוימים של בלשני גרוזיה.

ממיסתולוב משתייך למועטים אך לידועים שבעסקים אשר עמלו רבות, בלא כל תמורה, בשנות אמצע המאה הזו, כדי ללמוד ולהפיץ את ההיסטוריה של יהודי גרוזיה וכדי לומר את מילתו במדע. עיסוקו המדעי היה כרוך בקשיים רבים. חייו רצופים בקשיים של יום-יום, אך נעלים ברוחניותם.

ממיסתולוב נולד בבטומי, שבגרוזיה, ב- 18/6/1911 אביו, אבנר, מוצאו מצחינוולי ואילו אימו, אסתר דיגווירלי מאחלציהה. בשנים 1918-1920 עוכרת משפחת ממיסתולוב לטביליסי, לשכונת פתחן (בית חיים). מורדכי מת ברווקותו בשנת 1984, ב-21 בדצמבר. את חייו ופעילותו של מורדכי ממיסתולוב ניתן לחלק לשלוש תקופות:

תקופת הילדות, הלימודים בבית-ספר ובמכון ממלכתי חינוכי בטביליסי. פעילותו התרבותית-חנכונית מבליטה אותו כמחונן בלימודים כתלמיד, כסטודנט וכעובד. בין השנים 1918-1933.

סטודנט ודוקטורנט באוניברסיטה הממלכתית (מומחה לשפה הגרוזית). מלמד, עובד כמזכיר מדעי של המוזיאון להיסטוריה ולאנתרופולוגיה של יהודי גרוזיה. שקוע כל כולו בלימודים ובעבודה המדעית, בעל כושר עבודה, מוכשר כחוקר וכל כולו בודד (1933-1955).

- מאוכזב, מחפש עבודה מדעית - מדען בודד העובד בעבודות שונות, שלא במקצועו. מבצע עבודות תרגום חד-פעמיות מעברית לגרוזית. משמש כמורה לעברית. זוהי תקופת חייו אותה הוא העביר במחסור ובמאבק אחר המכשולים בדרך לעבודה מדעית (1951-1984).

מורשת עיקרית מפעילותו של מורדכי ממיסתולשווילי:

פעילותו במוזיאון

- השתתפותו בסיוורים אנתונגרפיים באיסוף חומרי-מוזיאון להיסטוריה ולאנתונגרפיה של יהודי גרוזיה. בין השאר מציאת כתב-יד של ספר תורה "ברת" ו"לילש", שהוא חמישה חומשי תורה.

- השתתפות בעבודה מדעית-מחקרית של המוזיאון (ראה בעבודות המוזיאון להיסטוריה ולאנתונגרפיה של יהודי גרוזיה, כרך I, 1940, כרך II 1941, וכרך III 1945).

המאמר: "מונחים: עברי, ישראלי, יהודי", כרך I. תעודות היסטוריות. בירור ועיבוד כרך I, II, ו-III במצחתה.

- השתתפות בקריאת פירוש הכתובת על אבן-בקר הנמצא במצחתה ב-1938. ראה: א. קריחלי "אבן שנמצאה במצחתה עם כתוביות בעברית", כרך II, וכך ראה: ה.צירני "סיוורים

פעלו במדע הלשון

עבודות מתקר לתואר מוסמך לבלשנות: "מבני-נושא מורכבים של הפועל בשפה הגרוזית" (209 עמודים) , אוניברסיטת טביליסי, 1948. בעבודה זו לא הכירה-הקתדרה ללשון. כמו כן, לא הכירה הקתדרה בעבודתו בנושא: "גורות בגרוזית העתיקה והחדשה" (77 עמודים), אוניברסיטה ממלכתית של טביליסי, 1953 גם בעבודתו השלישית בנושא "גורות מודליות בגרוזית" לא הכירה הקתדרה (401 עמודים), 1968. כמו כן סרבו לקבל את עבודתו במוסדות מדעיים אחרים. *

המונוגרפיה הבלתי מפורסמת "מבני-נושא מורכבים של הפועל בשפה הגרוזית" מהווה שני ספרים. וערך לראשונה ב-1968, בשניה ב-1974 ובשלישית ב-1982.

העבודה "גורות מודליות בגרוזית" ראה אור ב"מצנה", סדרת חוברות בנושא הלשון והספרות שיצא ע"י האקדמיה למדעים בגרוזיה (1985, מסי 3, עמודים 116-135).

העבודה הנ"ל מהווה סיכום של המונוגרפיה הבלתי מפורסמת. :

פעילותו הציבורית:

מאמרי עיתונות, מהם צריך להדגיש מאמר ארוך על פעילותו של הרצל באזוב (ראה "צייר אמת"), פורסם לכבוד חגיגת יובל ה-60 בעיתון "קומוניסט" בתאריך 17/11/1964 גליון מסי 269.

את הדוקטורט של מ.ממיסתוולשוילי שלא הוכר (נערך ב- 1968) והמונוגרפיה הבלתי מפורסמת, יחד עם הספרייה הפרטית שלו מסר אחיו, בנוכחות כותב שורות אלו, למוזיאון ההיסטורי-אתנוגרפי היהודי ע"ש דוד באזוב, הפתוח כיום לקהל הרחב.

רצוי שהמונוגרפיה שלו תתפרסם ותהיה בהישג ידם של אלה המתעניינים בנושא זה, לתועלתם של מדעני לשון גרוזיים ואחרים, ולפרסום חלקו של מ.ממיסתוולשוילי במדע הלשון.

M. DANIELASHVILI

MORDEKH MAMISTVALISHVILI

(Life and Activity)

Summary

Among the old generation of Jewry in Georgia and the certain circle of the georgian philologists, well known Mordekh Mamistvalishvili belongs to that small number, but glorious galaxy of workeres, which in the middle period of our century worked with disinterestedness and selflessness to study and to present jews-century-old history in Georgia and to utter the own word in science.

His hard scientific work was full of complexities, he lived in poverty, but with holy spirit.

He was born in Batumi on June 18, 1911, his father Abner was born in Tzkhinvali, mother Esther Digvireli was from Akhaltzikh. In 1918—1920 M. Mamistvalishvili's family moved to Tbilisi, to the Petkhain district. He died unmarried on December 21, 1984.

The life and activity of Mordekh Mamistvalishvili can be divided into 3 periods:

—Childhood, study at school and at Tbilisi state Teacher Institute. He was notable pupil and student for his mental faculties and studies (1918—1933).

—Student and post graduate student of Tbilisi University (specility-georgian language) and employee of the georgian jews historical - ethuographical musem, scientific secretary. Talented, devoted to his affai rs researcher and worker (1933-1951).

— Deprived of the official scientific work and seeker of such a work, scientist-researcher. Georgian language teacher on temporary payment. at school. Worker of different organizations. The last period, after jewish themes reviving, executor of single translations from jewish language and practically under prohibited conditions jewish language teacher among his near people. Period of living in poverty, working not by the speciality and of the resistances in scientific work (1951—1984).

Main creative heritage of M. Mamistvalishvili;

— Participation in georgian jews historical-ethnographical museum expeditions and scientific work, including acquisition of Breiti and Lailash bibles unipue manuscripts (see georgian jews historical-ethnographical museum works, vol. T, II, III).

— Theses, presented for philological science candidate degree; publication „modal-partial rows in georgian language“ „Matzne“ of the Georgian Academy of Science, series of language and literature, 1985, №3. pp (116—135) and unpublished monograph of the same title.

— Articles in newspapers.

— Copies of M. Mamistvalishvili's dissertations and unpublished monograph and scientific books of his personal library as well were given at his brother's wish to his native, today already reestablished historical-ethnographical museum of georgian jews.

It is desirable, that his published monograph would be available for each reader, interested in this problem, for the welfare of georgian and common linguistics development, for presentation M. Mamistvalishvili's worthy contribution to linguistics.



მორდუხის მამა — აბნერ მამისთვალევა



მორდების დედა — ესთერ დიგვირელი-მამისთვალზე სა



მორდენი მოსწავლე
(მარჯენი მორდენი, მარცხენი მისი უფროსი ძმა იოსები)



მორდესი სტუდენტი




მორდები (მარცხნიდან მეორე) საქართველოს ერთ-ერთ სოფელში



მორდები და მხატვარი მიხეილ (მიშა) ჯანაშვილი (მარცხნივ)



აბნერ მამისთვალავი (მარჯვნივ), გერცელ ბაზოვი (შუაში) და არონ
დანიელაშვილი (მარცხნივ)



სახლი ფეთხაინის უბანში (ბეთლემის ქ. № 7), სადაც ცხოვრობდა მორდესი
(მარცხნივ, ზედა კუთხეში მოჩანს შუშაბანდი, რომელიც ეკავა მორდესს).

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჭიმშელიანი
მხატვარი შ. ბოსტანაშვილი
მხატვრული რედაქტორი ლ. ლომთათიძე
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჯავა

გადაეცა წარმოებას 26. 9. 1996; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 10. 1996;
ქილალის ზომა 60X84¹/₆₁; ბეჭდვა მაღალი;
გარნითურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 2. 32;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,64;

ტირაჟი 500;

შეკვეთა № 526;

ფასი სახელშეკრულებო

მოსე არონის ძე დანიელაშვილი

მორღეს მამისტვალისებრი (მამისტვალისებრი)

ცხოვრება და მოღვაწეობა

თბილისი
„მეცნიერება“
1996

6p 43/36 4